დაწესებულების დასახელება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა) International Relations: Europe and Middle East (Major)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი **Bachelor of International Relations**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფ. დავით აფრასიძე პროფ. გიორგი გვალია
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2016 წელს და განახლებულია 2021 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყების წინ.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	
პროგრამის მიზნები	

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომელსაც აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კონცეფციების, თეორიების და მეთოდების/მიდგომების ფართო ცოდნა, აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ურთიერთმიმართებას ისეთ მომიჯნავე დარგებთან, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერება, ისტორია, ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალური ასპექტები, მაგალითად, საერთაშორისო წესრიგის დინამიკა, საერთაშორისო სისტემების რეგიონული ელემენტების სპეციფიკა, ინსტიტუტებისა და პოლიტიკის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საერთაშორისო უსაფრთხოება, ეკონომიკა, სამართალი).

პროგრამა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, შეისწავლოს ევროპის ან ახლო აღმოსავლეთის რეგიონების ისტორიული, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ჭრილში, და დაეუფლოს რეგიონისთვის რელევანტურ ერთ-ერთ უცხოურ ენას.

ასევე, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კრიტიკული ანალიზის, არგუმენტაციისა და მსჯელობის, ქართულ და უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ინდივიდუალურად და გუნდში ეფექტიანად მუშაობის უნარი.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს(ი):

1. ამჟღავნებს ფართო ცოდნას პოლიტიკური აზრის განვითარების სხვადასხვა ეტაპების და წამყვანი კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური თეორიების შესახებ;
2. ავლენს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების, კლასიკური და თანამედროვე თეორიების, ასევე, დისციპლინის განვითარების ისტორიის და ძირითადი დებატების შესახებ;
3. ავლენს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი და აქტუალური ასპექტების შესახებ (მაგ.: ეროვნული უსაფრთხოება, კონფლიქტები და მშვიდობა, საერთაშორისო განვითარება, გლობალიზაცია, საერთაშორისო ინტეგრაცია, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.);
4. შეუძლია აღწეროს საერთაშორისო ინსტიტუტების/ორგანიზაციების როლი, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები;
5. შეუძლია გამოიყენოს ძირითადი კონცეფციები, თეორიები და მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ძირითადი აქტორების, ინსტიტუტების ან/და მოვლენის/პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისთვის;

6. ავლენს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ძირითადი მეთოდების ფართო ცოდნას
7. ავლენს ფართო ცოდნას ევროპის ან ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში მიმდინარე პროცესების და მოვლენების ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ;
8. შეუძლია გამოავლინოს და შეისწავლოს საერთასორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა აქტუალური საკითხი, მათ შორის ერთ-ერთი რეგიონის (ევროპის, ახლო ღმოსავლეთის) ჭრილში, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
9. შეუძლია, ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც მშობლიურ, ასევე არჩეული რეგიონის ერთ-ერთ უცხო ენაზე;
10. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა.

პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს:

1. თავისუფალი კომპონენტი: საბაკალავრო საფეხურის საუნივერსიტეტო ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:
   - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1,2- 12 კრედიტი (მიეკუთვნება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს)
   - აკადემიური მუშაობის ტექნიკები-6 კრედიტი;
   - სტატისტიკა-6 კრედიტი;
   - ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები-24 კრედიტი;
   - შესავალი კურსები კოდით INTRO- 24 კრედიტი
2. საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი მოდულიდან:
   - სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი
   - სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი
3. არჩეული ბლოკის (ევროპა ან ახლო აღმოსავლეთი) სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი
4. არჩეული ბლოკის ფარგლებში შეთავაზებული ერთ-ერთი რომელიმე ენის პრაქტიკული კურსები - 36 კრედიტი
5. თავისუფალი კომპონენტები, ან დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს:

თავისუფალი კომპონენტი: საბაკალავრო საფეხურის საუნივერსიტეტო ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1,2- 12 კრედიტი (მიეკუთვნება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს)
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები-6 კრედიტი;
- სტატისტიკა-6 კრედიტი;

- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები-24 კრედიტი;
- შესავალი კურსები კოდით INTRO- 24 კრედიტი

2. საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი მოდულიდან:
- სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი

3. არჩეული ბლოკის (ევროპა ან ახლო აღმოსავლეთი) სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი
4. არჩეული ბლოკის ფარგლებში შეთავაზებული ერთ-ერთი რომელიმე ენის პრაქტიკული კურსები - 36 კრედიტი
5. თავისუფალი კომპონენტები, ან დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- პროექტები;
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- შემთხვევის შესწავლა (Case Study)

სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას სწავლების სხვა მეთოდებიც, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- საჯარო დაწესებულებები (სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ინსტიტუტები მაგ, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, უსაფრთხოებისა და

კრიზისების მართვის საბჭო და სხვა; საქართველოს პარლამენტის აპარატი, საელჩოები, საკონსულოები, საგანმათლებლო დაწესებულებები და სხვა);

- შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები არასამთავრობო და კერძო სექტორში;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მასმედია;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ორგანიზაციები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“; • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin; • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ენების ცენტრი; • უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ცენტრები; • შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სალექციო და სასემინარო აუდიტორიები (პროექტორი, მიკროფონი, დაფა და სხვ); • საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო რესურსები მათ შორის ელექტრონული საეთაშორისო სამეცნიერო ბაზები (Clarivate Analytics, SCOPUS, JSTOR, EBSCO, Taylor& Francis და სხვა); • შესაბამისი პროფილის საუნივერსიტეტო ინსტიტუტები და ცენტრები (მაგალითად, კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა, ევროპის შემსწავლელი ცენტრი, ცივი ომის შემსწავლელი ცენტრი,აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრი);